მეტაფიქციური ესკაპიზმი გივი მარგველაშვილის რომანებში *მუცალი* და *ოფიცერი პემბრი*

ჟანა ინასარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნება და მეცნიერების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჟანა ინასარიძე. 25.05.2026

სარჩევი

აბსტრაქტი v

Abstract vii

შესავალი 1

1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 4

2. გივი მარგველაშვილის ცხოვრება და შემოქმედება 13

3. თეორიული ჩარჩო 18

3.1. მეტაფიქცია და მისი ფუნქციები 18

3.2. ინტერტექსტურობა 21

3.2.1. იულია კრისტევას კონცეფცია 21

3.2.2. მთხრობლის ტიპები 22

3.2.3. თხრობის დონეები 24

3.2.4. მეტალეფსისი 24

3.3. ლიმინალობის თეორია 25

3.3.1. არნოლდ ვან გენების *გარდამავალი რიტუალები* 25

3.3.2. ვიქტორ ტერნერის თეორია: ლიმინალური მდგომარეობის განსაზღვრება 29

4. მეტაფიქციური ესკაპიზმი რომან *მუცალში* 32

4.1. რომანის მეტაფიქციური ელემენტები 32

4.2. მუცალი როგორც მთხრობელი 37

4.3. რომანის ინტერტექსტური ასპექტები 38

4.4. *ლიმინალური ფაზა რომანში ‚მუცალი'* 44

4.5. მკითხველის მეტანარატიული დანიშნულება 54

4.6. ონტოლოგიური ესკაპიზმი 58

4. მეტაფიქციური ესკაპიზმი რომანში *ოფიცერ პემბრი* 65

5.1. რომანის მეტაფიქციური ელემენტები 65

5.2. მეტალეფსისების მეტაფიქციური ეფექტი 70

5.3. „კრიმიბიბლიოლოგიური პარალელობა" 77

5.4. „სიუჟეტური ბედისწერისგან“ გათავისუფლება 82
5.4.1. ზღვრული მდგომარეობა 86
დასკვნა 91
გამოსახულებათა ნუსხა 95
ბიბლიოგრაფია 96

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია გივი მარგველაშვილის ორი მეტაფიქციური რომანი: *მუცალი* და *ოფიცერი პემბრი.* ტექსტების ანალიზის საფუძველზე, მეტაფიქცია განისაზღვრა ესკაპისტური მნიშვნელობით, როგორც ავტორისეული სტრატეგია ონტოტექსტების შესაქმნელად და მათში ტრაგიკული, დეტერმინიზებული ბედისწერის მქონე პერსონაჟების გათავისუფლების საშუალებად.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზანია, მეტაფიქციის, როგორც კითხვის სტრატეგიის ესკაპიზმის განხორციელების მეთოდად წარმოჩენა. მარგველაშვილის მეტაფიქციურ ტექსტებში განსჯის საგანია ტექსტების ავტორეფლექსიურობა, მკითხველის მნიშვნელობის განსაზღვრა ტექსტის სიცოცხლისუნარიანობისა და პერსონაჟების გათავისუფლებისთვის; ამასთან, მთხრობლის ონტოლოგიური სტატუსის განსაზღვრა და ლიმინალური კონდიციის დანიშნულება.

შერჩეულ რომანების ძირითადი თემა არის პერსონაჟების გათავისუფლება პრეტექსტების ავტორების მიერ განსაზღვრული ტრაგიკული თემატურობისგან. *მუცალის* პრეტექსტია ვაჟა-ფშაველას პოემა *ალუდა ქეთელაური,* ხოლო *ოფიცერი პემბრის* თომას ჰარისის კრიმინალური რომანი *კრავთა დუმილი.* კვლევითი აქტუალობას განაპირობებს სამცნიერო წყაროების სიმწირე მარგველაშვილის შემოქმედებაზე და, შესაბამისად, წინამდებარე კვლევის საგნის ახლებური პერსპექტივა. კვლევაში დგინდება, რომ ორივე რომანის მარგველაშვილმა თავისი ონტოტექსტებისთვის შეარჩია ტრაგიკული თემატური სიუჟეტის მქონე ეპიზოდური პერსონაჟები. აღსანიშნია, რომ მარგველაშვილის შემოქმედება წიგნებში გადასახლების თემას ეხება.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა მარგველაშილის შემოქმედებაზე არსებულ სამეცნიერო კვლევების მიმოხილვას; მეორე თავში მარგველაშილის შემოქმედების და ბიოგრაფიული ასპექტებია წარმოდგენილი, როგორც განმსაზღვრელი ფაქტორი მისი შემოქმედებითი ხასიათისა და თემების. ნაშრომის მესამე თავი ეთმობა

მეთოდოლოგიურ-თეორიული წანამძღვრებს, სახელდობრ: მეტაფიქციის, ინტერტექსტურობის, მთხრობლის ტიპების, თხრობის დონეების, მეტალეფსისის, ლიმინალობის თეორიებს განხილვებს. მეოთხე და მეხუთე თავები ეთმობა რომანების ანალიტიკურ ნაწილებს და ბოლოს, დასკვნითი ნაწილი, რომელშიც კვლევის საბოლოო შედეგებია წარმოდგენილი.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მარგველაშვილის ორივე რომანში მეტაფიქცია ერთი და იგივე ფუნქციას ასრულებს, თუმცა განსხვავებულია მისი გამოყენების სტრატეგია. *მუცალის* შემთხვევაში გამოვლინდა, რომ თავად მუცალია მთხრობელი და, შესაბამიად, პერსონაჟის პერსპექტივიდან ხორციელდება თხრობა. *ოფიცერი პემბრიში* განსხვავებული შედეგები ვლინდება. სახელდობრ, თხრობა ფიქტიურ რეალობაში ვითარდება, სადაც რეალური პირები „კრიმი-რომანებში“ თავიანთი ორეული პერსონაჟების კრიმინალური პარალელობის საფრთხის წინაშე არიან. ორივე რომანის შემთხვევაში მეტაფიქცია დადასტურდა გათავისუფლების, ესკაპიზმის საშუალებად. ხოლო მკითხველის როლი გადამწყვეტია პერსონაჟების გათავისუფლებისთვის. *მუცალის* პერსონაჟები გაიქცნენ მკითხველის თავში დახმარებისთვის, ხოლო *ოფიცერ პემბრიში,* მკითხველის დახმარებით რეალური ორეულები გადაურჩნენ კრიმინალური სიუჟეტის განმეორებას.

საკვანძო სიტყვები: გივი მარგველაშვილი, მუცალი, ოფიცერი პემბრი, მეტაფიქცია, ესკაპიზმი.

Abstract

Following Master's Thesis discusses two metafictional novels by Giwi Margwelaschwili: *Mutsali* and *Officer Pembry.* Based on these texts analysis, according to creating onthotextual space, metafiction was defined in an escapist sense as an authorial strategy of freeing characters from a deterministic, thematic fate.

The purpose of the presented research is to state metafiction as a reading strategy as a method of implementing escapism. The subjects of Margwelaschwili's metafictional texts is the self-reflexivity of texts, the determination of the reader's significance for the existence of the text and the liberation of the characters; Also, the ontological status of the narrator, the meaning of the liminal condition and the definition of metalepsis.

The main theme of the selected novels is the liberation of the characters from the tragic thematics, defined by the authors of the pretexts. The pretext of *Mutsali* is Vazha-Pshavela's poem *Aluda Ketelauri,* and in case of *Officer Pembry* is Thomas Harris's crime novel *The Silence of the Lambs*. The research relevance was confirmed by the lack of scientific sources and over the creativity of Margwelaschvili; at the same time, the new perspective of the following research. In study revealed that, in ontotexts, Margwelaschwili has chosen episodic characters with tragic thematic plots. Hence, creativity of Margwelaschwili is linked to exile into books.

The first chapter of the work is devoted to a review of existing scientific studies regarding to Margwelaschwili's work. The second chapter concerns the creative and biographical aspects of Margwelaschwili like a determining factor of his characteristic work. The third chapter of the work is devoted to methodological and theoretical frameworks, like: the theories of metafiction, intertextuality, narrator types, narrative levels, metalepsis, liminality. The fourth and fifth chapters are devoted to the analytical parts of the novels and, finally, the concluding part, in which the final results of the research are presented.

The results of the research reveal that in both novels of Margwelaschwili, metafiction has the same function, although the strategy of its use is different. In the case of *Mutsali*, was revealed that the narrator is *Mutsali* by himself, so, the narrative is carried out from the perspective of the character. In *Officer Pembry* novel, situation was converse. As it seemed, the narrative takes place in a fictional reality, where real people are threatened by the criminal parallels of their double characters from crime novels. In both novels, metafiction has confirmed as a method of freeing, escapism. Also, the reader's instance has become a rescuer for helping the tormented characters. The characters in *Mutsali* approaches to the reader's head for help, while in *Officer Pembry,* with the reader's help, the real persons survived from the repetitiveness of the criminal plot.

Key Words: Giwi Margwelaschwili, Mutsali, Officer Pembry, metafiction, escapism.